

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტების დეკანატებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**კორონავირუსის გავრცელების პირობებში,**

**2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში**

**სასწავლო პროცესის წარმართვის შესახებ**

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის ბრძანების N918337 „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საფუძველზე, კორონავირუსის გავრცელების პირობებში, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, 19 ოქტომბრიდან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინო სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი სხვადასხვა ფაკულტეტზე წარმართოს ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიხედვით.
2. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესი, 19 ოქტომბრიდან, გაგრძელდება დისტანციურ რეჟიმში. საჭიროების შემთხვევაში პროფესორ-მასწავლებელს აქვს უფლება ჩაატაროს ინდივიდუალური საკონტაქტო (არადისტანციური) კონსულტაციები უნივერსიტეტის ან სხვა სივრცეში სტუდენტების მცირე ჯგუფთან (სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება აუდიტორიის ფართობით, 1 სტუდენტზე - 5 კვ/მ). ინდივიდუალური კონსულტაციების დროს სტუდენტების მიერ აუდიტორიაში შესაბამისი რეგულაციების დაცვაზე (პირბადის გამოყენება და დისტანციის დაცვა) პასუხისმგებელი პირი არის პროფესორ-მასწავლებელი.

3. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე პრაქტიკული სასწავლო კურსები შეიძლება წარმართოს კომბინირებულად, დისტანციური და არადისტანციური ფორმების მონაცვლეობით. პრაქტიკული მეცადინეობის საკონტაქტო ფორმით წარმართვის დროს სტუდენტების მიერ აუდიტორიაში შესაბამისი რეგულაციების დაცვაზე (პირბადის გამოყენება და დისტანციის დაცვა) პასუხისმგებელი პირი არის პროფესორ-მასწავლებელი.
4. კინო-ტელე და დრამის ფაკულტეტებზე 19 ოქტომბრიდან თეორიული სასწავლო კურსები ისევ წარმართება დისტანციურ რეჟიმში.
5. კინო-ტელე და დრამის ფაკულტეტებზე 19 ოქტომბრიდან პრაქტიკული სასწავლო კურსების წარმართვის ფორმას განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანატი სასწავლო კურსის პროფესორ-მასწავლებელთან შეთანხმებით. პრაქტიკული სასწავლო კურსი შეიძლება წარმართოს როგორც კომბინირებულად, დისტანციური და არადისტანციური ფორმების მონაცვლეობით, ასევე სრულად საკონტაქტო, არადისტანციური ფორმით.
6. შესაბამისი რეგულაციების დაცვის მიზნით, კინო-ტელე და დრამის ფაკულტეტებზე საკონტაქტო, არადისტანციური ფორმით სასწავლო კურსების წარმართვის დროს უნდა იყოს დაცული სტუდენტთა რაოდენობა აუდიტორიის ფართობთან მიმართებაში, 1 სტუდენტზე - 5 კვ/მ.
7. საჭიროების შემთხვევაში, დეკანატმა (პროფესორ-მასწავლებელთან შეთანხმებით) უნდა მოახდინოს ჯგუფის გაყოფა. ჯგუფის გაყოფის შემთხვევაში დეკანატს ევალება სასწავლო ცხრილების შესაბამისი მოდიფიცირება:
  - ოსტატობის მოდულის სასწავლო კურსებზე, სადაც პროფესორ-მასწავლებელთან ერთად ასისტენტიც მუშაობს, ეძლევათ ორ სასწავლო სივრცეში ორ ჯგუფთან ერთდროულად მუშაობის რეკომენდაცია.
  - ჯგუფის გაყოფის პირობებში, ერთი პედაგოგის შემთხვევაში, ცხრილში მითითებული სალექციო საათების კვირეული რაოდენობა თანაბრად გადანაწილდეს გაყოფილ ჯგუფებს შორის.

8. პრაქტიკული სასწავლო კურსის საკონტაქტო, არადისტანციური ფორმით წარმართვის დროს სტუდენტების მიერ აუდიტორიაში შესაბამისი რეგულაციების დაცვაზე (პირბადის გამოყენება და დისტანციის დაცვა) პასუხისმგებელი პირი არის პროფესორ-მასწავლებელი.
9. სტუდენტს, დასაბუთების შემთხვევაში (მაგ., თუ იგი მიეკუთვნება რისკ-ჯგუფს ან იმყოფება თვითიზოლაციაში), აქვს უფლება მოითხოვოს პრაქტიკულ მეცადინეობაზე ონლაინ, დისტანციური დასწრება, რისი უზრუნველყოფა პროფესორ-მასწავლებელს ევალება. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სისტემის (Google Hangout Meet) მეშვეობით, ასეთი ელექტრონული ჩართვის ორგანიზებას ახდენს დეკანატი, IT სამსახურის დახმარებით.
10. რისკ-ჯგუფში მყოფ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ პრაქტიკულ სასწავლო კურსებს, მათი სურვილის შემთხვევაში, აქვთ უფლება წარმართონ სასწავლო კურსი ონლაინ, დისტანციურ რეჟიმში. პასუხისმგებლობა პრაქტიკული სასწავლო კურსის დისტანციურ რეჟიმში სრულყოფილად წარმართვაზე ეკისრება პროფესორ-მასწავლებელს.
11. უნივერსიტეტის IT სამსახურს დაევალოს დამატებითი ტრენინგების ჩატარება იმ პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ვინც სათანადოდ ვერ ფლობს სასწავლო პროცესის წარმართვის ელექტრონულ სისტემას - Google Hangout Meet.
12. პროფესორ-მასწავლებლებმა ზედმიწევნით ზუსტად და დადგენილი პერიოდულობით უნდა ასახონ ini.ge სისტემაში სტუდენტების დასწრების, აქტივობის და შუალედური გამოცდების ქულები. ქულების ასახვის მონიტორინგი დაევალოს დეკანატებს.
13. დეკანატებმა მოახდინონ იმ სტუდენტების იდენტიფიცირება, ვინც ვერ ერთვება დისტანციურ სწავლებაში ინტერნეტთან წვდომის ან ელექტრონული საშუალებების არარსებობის გამო.